



2013 წლის ანგარიში



1. ინფრასტრუქტურული რეფორმები

- **N16 დაწესებულება.** დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის სპეციალური დაწესებულების ჩამოსაყალიბებლად, მიმდინარეობს მასშტაბური სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სამომავლოდ, აღნიშნულ დაწესებულებაში შესახლებულ მსჯავრდებულებს მიეცემა საშუალება დაეუფლონ კომპიუტერულ საოფისე პროგრამებს, ხის მხატვრულ დამუშავებას, სადურგლო საქმეს, სამაცივრე ტექნიკის შეკეთება-მომსახურებას, სამკერვალო საქმიანობას, ფეხსაცმლის კერვას, ელექტრიკოსობას, მემინანქრობას, თექის დამუშავების ხელოვნებას, სიმულატორების მეშვეობით სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა-ექსპლუატაციას და ა.შ.
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კაპიტალურად გარემონტდა **ბათუმის N3 დაწესებულება.**
- N11 არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში აშენდა ახალი თანამედროვე სტანდარტების სკოლის შენობა, სადაც განთავსდა ინდივიდუალური შეხვედრებისთვის ოთახები, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკლასო ოთახები, განახლებული ბიბლიოთეკა. სპორტული მოედნები და დახურული სპორტული დარბაზი. ჩატარდა საცხოვრებელი კორპუსის სრული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
- მსჯავრდებულთა უკეთესი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და სამედიცინო პროგრამების ეფექტურად განხორციელებისათვის, **N18 სამკურნალო დაწესებულებაში** მიმდინარეობს სრული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები: პალატების განახლება, ახალი სავენტილაციო სისტემების გამართვა. რეკონსტრუქციის შემდეგ, აღნიშნული სამკურნალო დაწესებულება გაუთანაბრდება სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებებისათვის დადგენილ სტანდარტებს.
- **N5 დაწესებულების ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების კუთხით** მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, რაც ითვალისწინებს ამ დაწესებულების ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებული, განსაკუთრებული მეთვალყურეობის დაწესებულებად ჩამოყალიბებას, რომელშიც შესახლდებიან ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრები.
- მიმდინარეობს **N10 დაწესებულების, როგორც** ახალი და თანამედროვე ევროპული სტანდარტების დაწესებულების საპროექტო სამუშაოები, რომელშიც პროექტის განხორციელების შემდეგ შესახლდებიან უვადო და გრძელვადიანი მსჯავრის მქონე პატიმრები.
- **N7 დაწესებულებაში** მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების სავენტილაციო სისტემის სამონტაჟო სამუშაოები.
- **N14 დაწესებულების** მთელ ტერიტორიაზე ეწყობა ბეტონის საფარი, ხოლო ეფექტური სამედიცინო პროგრამების განხორციელებისათვის რემონტდება სამედიცინო დანიშნულების ოთახები. იწყება საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა.

- დაიხურა N1 და N4 დაწესებულებები, რომლებიც წარმოადგენდნენ ყოველგვარ სტანდარტებთან შეუსაბამო დაწესებულებებს და მათში არსებული პირობები ადამიანის ღირსების შემლახავ მოპყრობას უთანაბრდებოდა.
- N2 დაწესებულებაში მოეწყო და ამოქმედდა ხანგრძლივი პაემნების განხორციელებისათვის საჭირო ინფარსრუქტურა. გარდა ამისა, სრულდება საზოგადოებრივი მისაღების სამშენებლო სამუშაოები და არსებული შენობა-ნაგებობების მოპირკეთება.
- N5 და N6 დაწესებულებაში ამოქმედდა საზოგადოებრივი მისაღები.

საკანონმდებლო ნოვაციები

- 2013 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა ცვლილებები „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც დაწესებულებებში საგრძნობლად გაუმჯობესდა კვების რაციონი და კალორაჟი. შემუშავდა ახალი სამკურნალო მენიუები სხვადასხვა დაავადების მქონე პატიმრებისთვის. მნიშვნელოვნად მოიმატა ხორცისა და თევზის რაოდენობამ კვების რაციონში. დაემატა რძის პროდუქტები, ხილი, თაფლი, კაკაო და სხვა. ასევე გაიზარდა ყოველდღიური მენიუს კალორაჟი.
- მომზადდა „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც მოიცავს **70-მდე ცვლილებას**. კანონპროექტის თანახმად, მოხდება მსჯავრდებულთა რისკების მიხედვით დაყოფა და შეიქმნება ახალი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები, კერძოდ, **დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება**, სადაც განთავსდებიან დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულები, რომლებიც ისარგებლებენ შედარებით ლიბერალური რეჟიმით და **განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება**, სადაც განთავსებული მსჯავრდებულების მიმართ გამოყენებული იქნება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მკაცრი რეჟიმი. ამასთანავე, იზრდება მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი **საცხოვრებელი ფართის** ოდენობა, საცხოვრებელი ფართობის ნორმა 1 მსჯავრდებულზე ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე, ხოლო 1 ბრალდებულზე-3 კვ. მეტრზე ნაკლები. ფართოვდება იმ პირთა წრე, რომლებთანაც ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეთ **ხანმოკლე, ხანგრძლივი და საოჯახო პაემანის** უფლება. ამასთან, იზრდება **ხანმოკლე, ხანგრძლივი და ვიდეოპაემნების რაოდენობა**. ხანგრძლივ და საოჯახო პაემნით სარგებლობის უფლება მიეცათ აგრეთვე მსჯავრდებულის გერს, შვილიშვილს, იმ პირს, რომელთანაც გააჩნია საერთო შვილი, ბებიას და პაპას.

- პატიმრობის კოდექსს ემატება ახალი II¹-II² თავები, რომლითაც რეგულირდება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებში (სასჯელდსრულების დეპარტამენტი და მის დაქვემდებარებაში არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები) მოსამსახურეთა მიღებისა და სამსახურის გავლის წესი, ასევე სამინისტროს მოსამსახურეების, მათ შორის სისტემის ორგანოში დასაქმებულების უფლებები და მოვალეობები, სოციალური დაცვის პირობები და პასუხისმგებლობა.
- მთავრობის დადგენილების შესაბამისად, 2013 წლის 1 ოქტომბრიდან მსჯავრდებულებს ეძლევათ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. მსჯავრდებულთა აღნიშნული უფლება გარანტირებული იქნება ასევე, პატიმრობის კოდექსში. კერძოდ, მომზადებული ცვლილებების კანონპროექტის შესაბამისად, **მსჯავრდებულს მიეცემა შესაბამისი ანაზღაურება სამეურნეო სამუშაოების შესრულებისათვის. ხოლო,** სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხვისა და ანაზღაურების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.
- ყველა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შეიქმნა იურისტისა და ფსიქოლოგის შტატები. შესაბამისად, სასჯელდსრულების ნებისმიერი ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს/ბრალდებულს საშუალება აქვს ისარგებლოს იურისტისა და ფსიქოლოგის დახმარებით.
- მსჯავრდებულთა საკანში შესახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე მსჯავრდებულების ახლო ნათესაური კავშირი.

ფსიქო სარეზილიტაციო პროგრამები:

- ფსიქოლოგთა 9-თვიანი მუშაობის შედეგად ფსიქო-კონსულტირებაში ჩართულ იქნა სისტემის მაშტაბით 2717 ზრდასრული ბენეფიციარი, რაც შეადგენს მსჯავრდებულთა სრული რაოდენობის დაახლოებით 29 %-ს;
- N2 და N8 დაწესებულებებში მიმდინარეობს „მეტადონი“-ს პროგრამა ნარკოდამოკიდებულების მქონე პირთათვის, რომელიც გაიარა 335 პატიმარმა, ხოლო ამ დროისათვის ჩართულია 106 მსჯავრდებული.
- N2 დაწესებულებაში “წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრმა“ (GCRT) განახორციელდა არასრულწლოვანი პატიმრებისათვის ფსიქო-სარეზილიტაციო პროგრამა.
- N5 დაწესებულებაში არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობით განხორციელდა არაერთი სარეზილიტაციო პროექტი, მათ შორის,

„პატიმარ ქალთა რესოციალიზაციის ხელშეწყობა“ და „სოციალური უნარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ტრენინგი“.

- N6 დაწესებულებაში ნარკომანიით დაავადებულმა მსჯავრდებულებმა გაიარეს ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი“.
- N11 დაწესებულებაში ქართულ-შვეიცარული პროექტის „ნერგი“ ფარგლებში მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური ჯგუფური მუშაობა მითოდრამაში. ამავე დაწესებულებაში აპრილის თვეში დაიწყო ფსიქოლოგიური პროგრამა „ექვიფი“, რომელიც მიზნად ისახავს ახალი სოციალური უნარების ათვისებას.

3. კულტურული ღონისძიებები

წელიწად ნახევრის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისთვის 60-მდე კულტურული ღონისძიება მოეწყო, მათ შორის:

კონცერტები

- N5 დაწესებულებაში გაიმართა საახალწლო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შოუბიზნესის წარმომადგენლებმა: ანსამბლი "მეტეხი", ვერიკო ტურაშვილი, მარიამ ებრალიძე, ნინო ბაშარული, გიორგი ცხვარიაშვილი.
- N5 დაწესებულებაში არასამათავრობო ორგანიზაციამ "თავისუფლება" ჩაატარა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ირმა სოხაძემ, ქეთევან ანდრიშვილმა, ნინო მუჯირიშვილი-ნემსაძემ ანი ბეჟანიშვილმა და თამარ ყიფშიძემ.
- N11 დაწესებულებას ესტუმრა ჯგუფი „ტრიო ბრავო“.
- N11 დაწესებულებაში კონცერტი გამართა (საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით) - ჯგუფმა „ფრანი“.
- №-17 დაწესებულებას ესტუმრნენ შოუბიზნესის წარმომადგენლები: ვერიკო ტურაშვილი, ელენე ფოჩხუა, გიორგი დათიაშვილი, გოგა მესხი, ანკა ასათიანი და გიორგი სუხიტაშვილი, ასევე ანსამბლები „თეატრონი“ და „ნიკოლშოუ“.
- №11 დაწესებულებაში ქართული პოეზიისა და მუსიკის საღამო გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ტარიელ ხარხელაურმა, გელა დაიაურმა, გუჯა ბურდულმა და რუსუდან ზვიადაურმა.
- №-15 და №-17 დაწესებულებებში კონცერტი გამართა ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა „სუხიშვილები“.
- N15 დაწესებულებაში გიორგი ხუციშვილმა გამართა კონცერტი.

ფილმის ჩვენებები

- N5 დაწესებულებაში გაიმართა ჩვენება „მახათას“ მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის შესახებ.

- N5 დაწესებულებაში გაიმართა ფედერიკო ფელინის ფილმის „კაბირიას ღამეები“-ს ჩვენება და განხილვა.
- N5 დაწესებულებაში, რეჟისორის რუსუდან ჭყონიას სტუმრობით შედგა ფილმ „Keep Smiling ანუ გაიღიმეთ“ ჩვენება, NORLAG-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში.
- N5 დაწესებულებაში გაიმართა რელიგიური ხასიათის ფილმის "ხილული სასწაულების"-ს ჩვენება.
- N5 დაწესებულებაში გაიმართა ავთანდილ ვარსიმაშვილის ფილმის „სახლი, რომელიც ფანჯრიდან გაიპარა“-ს ჩვენება და განხილვა.
- N12 დაწესებულებაში არასამთავრობო ორგანიზაცია "NORLAG"-ის ორგანიზებით გაიმართა თინათინ გურჩიანის ფილმის "მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" ჩვენება.
- N11 დაწესებულებაში (დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრის წარმომადგენლები) გაიმართა ჩვენება ფილმისა „გენიოსი უილ ჰანტინგი“.
- N11 დაწესებულებაში გაიმართა ფილმ „ფორსაჟი 6“-ის ჩვენება.
- N14 დაწესებულებაში გაიმართა ფილმის "ნიკო აპლოდისმენტები" ჩვენება.
- N14 დაწესებულებაში გაიმართა ფილმის "სუბორდინაცია" ჩვენება.
- N15 დაწესებულების მსჯავრდებულები რეჟისორ ზაზა კოლელიშვილთან ერთად დაესწრნენ კინოფილმ „ომი და ქორწილი“-ს ჩვენებას.
- N17 დაწესებულებაში არასამთავრობო ორგანიზაცია "NORLAG"-ის ორგანიზებით გაიმართა ნანა ექვთიმიშვილის ფილმის "გრძელი ნათელი დღეები" ჩვენება.
- N17 დაწესებულებაში გაიმართა საღვთისმეტყველო ფილმის "კუნძული" ჩვენება.
- N17 დაწესებულებაში სოხუმის დაცემის 20 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა მხატვრული ფილმის "ოცნებების სასაფლაო" ჩვენება.
- N17 დაწესებულებაში ფილმ "მანდარინების" რეჟისორის ზაზა ურუშაძის სტუმრობით შედგა აღნიშნული ფილმის ჩვენება.
- N17 დაწესებულებაში გაიმართა თინათინ გურჩიანის ფილმის "მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" ჩვენება.
- N5 დაწესებულებაში ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მხარდაჭერით გაიმართა ფილმ „ჩემი ცოლის დაქალების“ ჩვენება.

სპექტაკლები

- N5 დაწესებულებაში გაიმართა სპექტაკლი “სასიყვარულო ბარათები”, გია ბურჯანაძისა და ნანი ჩიქვანიძის მონაწილეობით (NORLAG-ის მხარდაჭერით).
- N5 დაწესებულებაში 28 მარტს შედგა თოჯინების თეატრი “მელაკუდა და ბატის ჭუკი”.
- N5 დაწესებულებას ესტუმრნენ თელავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და თოჯინების თეატრი.

- N5 დაწესებულებაში არასამთავრობო ორგანიზაცია "NORLAG"-ის ორგანიზებით შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პროფესიული თეატრის მიერ მოეწყო სპექტაკლის "ქარი მწყურია მე პირდაპირი"-ს ჩვენება.
- სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივით №11 დაწესებულებაში გაიმართა სპექტაკლი „დეჟა-ვუ“.
- N14 დაწესებულებაში მესხიშვილის თეატრთან არსებულმა ახალგაზრდულმა დასმა „მარჯანიშვილებმა“ დადგეს სპექტაკლი „ლექსო ამოგთქო“.

გამოფენები

- №2 დაწესებულება - ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა მსჯავრდებულების ხელნაკეთი ნივთების, ნაქარგებისა და ხეზე ნაკვეთი ხატების გამოფენა.
- N5 დაწესებულებაში პატიმრების მიერ თექით, ბისერით და შერეული მასალით შესრულებული აქსესუარების, ხატებისა და სურათების გამოფენა მოეწყო.
- №12 დაწესებულებაში გაიმართა მსჯავრდებულების მიერ შექმნილი ხატები, ეკლესიის მაკეტების გამოფენა.

კონკურსები

ლიტერატურული კონკურსი „კალამი“

- არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიტივთან“ და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთობლივად ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი „კალამი“, რომლის ფარგლებშიც მსჯავრდებულების მიერ შერჩეულმა ჟიურის წევრებმა გამოვალინეს და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს საუკეთესო პროზაული და პოეტური ნამუშევრების ავტორი მსჯავრდებულები. აღნიშნულ პროექტში სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების მსჯავრდებულები ჩაერთვნენ.
- N2 და N12 დაწესებულებაში გაიმართა ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის?“.
- სასჯელაღსრულების დაწესებულებების მსჯავრდებულებს შორის გაიმართა ინტელექტუალურ თამაშ „ეტალონში“ გაიმართა შეჯიბრება.

ბიბლიოთეკები

- სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების დახმარებით განახლდა ბიბლიოთეკები. აღნიშნული მიზნით, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში განახლდა შესაბამისი ინფრასტრუქტურაც.
- წიგნის საერთაშორისო დღეს - 23 აპრილს ყველა დაწესებულებაში ჩატარდა პოეზიის საღამო. დაწესებულებებს სტუმრობდნენ სხვადასხვა მწერლები და პოეტები, მათ შორის, დათო ტურაშვილი, ლაშა ბუღაძე, ტარიელ ხარხელაური, ერეკლე საღლიანი, გელა დაიაური, გუჯა

ბურდული, ირაკლი ლომოური, ნანა ცინცაძე, მურმან ჯინორია, კატო ჯავახიშვილი და მიშა ბახსოლიანი.

- N17 დაწესებულებაში გაიმართა მწერალ-დრამატურგ გურამ მეგრელიშვილის წიგნის "ანტიგლობალისტების" პრეზენტაცია.

4. სპორტული ღონისძიებები

- N11 დაწესებულებაში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ჩამოყალიბებულია რაგბისა და ფეხბურთის გუნდები. ჩატარდა ამხანაგური შეხვედრები ცნობილ სპორტსმენებსა და მსჯავრდებულთა გუნდებს შორის. კერძოდ,საერთაშორისო სარაგბო ტურნირის "Tbilisi Cup" -ის მონაწილე ქართველი, სამხრეთ აფრიკელი და ურუგვაიელი მორაგბეებთან, ასევე საფეხბურთო კლუბ „იბერიას“ ფეხბურთელებთან.
- N11 დაწესებულებას საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრების და თბილისის „დინამო“-ს ყოფილი ფეხბურთელი გოჩა ჯამარაული ესტუმრა, რომელმაც მოზარდებთან ერთად ფეხბურთი ითამაშა.
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოზარდებს საქართველოს საკალათბურთო ნაკრების წევრები, ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოიშვილი და ვაჟა მეტრეველი ესტუმრნენ.
- არასრულწლოვანთა N11 დაწესებულებაში ჩატარდა ჭადრაკის, ნარდის, შაშის და მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატები.
- N12 და N14 დაწესებულებებში მსჯავრდებულებს შორის გაიმართა ტურნირი ფრენბურთში. გამარჯვებული გუნდები დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.
- N8 დაწესებულებაში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ჭადრაკის ფედერაციის მხარდაჭერით ჭადრაკის ტურნირი გაიმართა.
- N6 დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შორის ნარდის და მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატები გაიმართა.
- N2 დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შორის ჩოგბურთის ჩემპიონატი გაიმართა.
- N14 დაწესებულებაში მსჯავრდებულებს შორის გაიმართა ტურნირი ფეხბურთისა და მაგიდის ჩოგბურთში.

5. პროფესიული და საგანმანათლებლო კურსები

- სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებითა და პარტნიორობით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელდა არაერთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დაასრულა 285 მსჯავრდებულმა, ამჟამად 25-მდე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 530 მსჯავრდებული.

№2 დაწესებულება

- ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსები;
- საეკლესიო საგალობლების შემსწავლელი გუნდი;
- ქართული ენის მართლწერისა და მეტყველების შემსწავლელი კურსი;
- Access -ის შემსწავლელი კურსები.

№5 დაწესებულება

- თექის დამზადების შემსწავლელი კურსი;
- კომპიუტერის საოფისე პროგრამების შემსწავლელი კურსი;
- წამოიწყე საკუთარი ბიზნესი;
- კოსმეტოლოგიის შემსწავლელი კურსები;
- სტილისტობის შემსწავლელი კურსები;
- ჭრა-კერვის კურსები;
- მინანქრის და ქარგვის კურსები;
- ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსები;
- ხატწერა;
- თიხაზე მუშაობის შემსწავლელი კურსები;
- მასაჟის შემსწავლელი კურსები;
- Access -ის შემსწავლელი კურსები;
- ბიზნეს ადმინისტრირება;
- მოცეკვავე/ქორეოგრაფიის შემსწავლელი კურსები;
- „სამოქალაქო განათლების ტრენინგი“.

№11 დაწესებულება

- ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსები;
- ხეზე კვეთა, ხის მხატვრული დამუშავების და დიზაინის სწავლების კურსი;
- ინგლისური ენა;
- კომპიუტერის საოფისე პროგრამების შემსწავლელი კურსი;
- მარკეტინგის სწავლების კურსი.

№14 დაწესებულება

- ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსები;
- Access -ის შემსწავლელი კურსები;
- ქვაზე ჭრის შემსწავლელი კურსები.

№15 დაწესებულება

- ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსები;
- გრაფიკული ბეჭდვა;
- საოფისე პროგრამები, Access.

№17 დაწესებულება

- გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა;
- ინგლისური ენა;
- კომპიუტერის საოფისე პროგრამების შემსწავლელი კურსი, Access;
- ხეზე კვეთის შემსწავლელი კურსები;
- მარკეტინგის სწავლების კურსი.

7. აღჭურვა - მომარაგება

- სისტემის გამართულად მუშაობისთვის და მსჯავრდებულთა უსაფრთხოდ გადააგილებისათვის განახლდა დეპარტამენტის ავტოპარკი, რის ფარგლებშიც შეძენილ იქნა 10 ახალი საბადრაგო ავტომანქანა.
- დაწესებულებებში არსებული მაღაზიების მომარაგებაზე გამოცხადდა აუქციონი და გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "გუდვილი", რომელიც ინარჩუნებს იმ საცალო ფასს, რომელიც აქვს ქსელის სხვა მაღაზიებში. შედეგად, პატიმრებს საშუალება მიეცათ მათთვის სასურველი ნივთები თუ პროდუქტები საბაზრო ღირებულებით შეიძინონ.
- დაწესებულებებში გაიმართა სატელევიზიო ქსელები.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის ანგარიში მონიტორინგის ინსტრუმენტების მიხედვით

- პრობაციის ბიუროებში წარმატებით მიმდინარეობს რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიით მუშაობა. აღნიშნული მეთოდოლოგიით მუშაობა მიმდინარეობს პრობაციონერთა საერთო რაოდენობის 53%-ს მიმართ (არასრულწლოვნები და ქალები სრულად), რამაც შეამცირა პირობით მსჯავრდებულებს შორის განმეორებითი დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც 2013 წელს 211 ერთეულით ნაკლები იყო 2012 წელთან შედარებით.
- რისკის შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვიდან გამომდინარე, პრობაციის ბიუროში გამოცხადების რეჟიმი შეუმსუბუქდა პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 2.5%-ს.
- საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, პრობაციის სისტემაში სრულიად ახალი ტიპის - თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება შეიქმნება, რომლის ერთ-ერთ მიზანს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია წარმოადგენს. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მსჯავრდებულებს არ ექნებათ შეზღუდული ერთმანეთთან ურთიერთობა და გადაადგილება დაწესებულების ტერიტორიაზე. ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ექნებათ შაბათ-კვირა საკუთარ სახლში ოჯახთან ერთად გაატარონ. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად განთავსებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ და შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ სააგენტოს მიერ შექმნილ სხვადასხვა პროფილის საწარმოში. 2013 წელს პრობაციის სისტემაში დასრულდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მშენებლობა და სათანადო ინვენტარით აღჭურვა. 2014 წელს დაწესებულება სრულად ამოქმედდება. (ნახევარი გზა სახლისკენ).
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველმა მუდმივმოქმედმა კომისიამ, პირობითი მსჯავრი გაუქმდა და ნასამართლობა მოუხსნა 724 პირობით მსჯავრდებულს, რაც საერთო რაოდენობის 6%-ს შეადგენს.

- პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებთან საგანგებოდ სამუშაოდ გამოიყო ამ მიმართულებით სპეციალურად გადამზადებული 12 ოფიცერი, 11 სოციალური მუშაკი და 1 ფსიქოლოგი. ამავდროულად 11 სოციალური მუშაკი და 56 ოფიცერი ჩაერთო განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში.
- 2013 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი უმნიშვნელოვანესი ცვლილებების საფუძველზე, მსჯავრდებულის გამოსაცდელი ვადის მაქსიმალური ზღვარი, რომელიც აქამდე 41 წლამდე განისაზღვრებოდა, ექვსი წელი გახდა, ხოლო მინიმალური ზღვარი – ერთი წელი.
- აქტიურად მიმდინარეობს ალტერნატიული სასჯელების მონიტორინგი. სააგენტოში ერთი წლის განმავლობაში (იანვრიდან- იანვრამდე) აღსასრულებლად შემოვიდა 1097 საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის საქმე და აღსრულდა 857.
- 2013 წელს პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს 7 რეგიონში სარეაბილიტაციო პროგრამების შესყიდვაზე კონკურსი გამოაცხადა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 537 პრობაციონერმა გაიარა ფსიქო-სარეაბილიტაციო და ხელობის შემსწავლელი კურსი, 548 პრობაციონერი ჩაერთო საგანმანათლებლო პროგრამებში, ხოლო 1599 საზოგადოებრივ-კულტურულ აქტივობებში, სულ 2684 ანუ საერთო რაოდენობის 22%.
- 2013 წელს, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმიდან გამომდინარე, იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციით დასაქმდა 124 პრობაციონერი.
- პრობაციონერთა საჭიროებების უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სხვადასხვა პროფილურ ორგანიზაციასთან. (ქვემო ქართლში - „სამოქალაქო განვითარების სააგენტოსთან“; სამცხე-ჯავახეთში - ასოციაცია "ტოლერანტთან“; გურიაში - "გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან“; აჭარაში - დასაქმების სააგენტოსთან; შიდა ქართლში - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსთან; იმერეთში - "რეგიონული განვითარების რესურსცენტრთან“ და „ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრთან“).
- გამოსაცდელი ვადის გასვლით დასრულდა საქმეთა 98,9%. (აღნიშნულ მაჩვენებელში ასევე შესულია პირობითი მსჯავრის მოხსნის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ პირობითი მსჯავრის მოხსნის, შეწყალებისა და ამნისტიის მონაცემები).
- 2013 წელს, პრობაციის სისტემაში ამოქმედდა 5 თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ოფისი (ზუგდიდი, გორი, ახალციხე, ქარელი, კასპი) და ასევე გაფართოვდა ვიდეოკამერის სერვისი და უკვე ხელმისაწვდომია თელავის, ახალციხის, ზუგდიდისა და გორის პრობაციის ოფისებშიც. ამჟამად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს 7 ბიურო ახორციელებს ვიდეო-კამერის სერვისს.
- სხვადასხვა ღონისძიების შედეგად, 2013 წელს შემცირდა პრობაციის ოფიცერთა დატვირთვა და ქვეყნის მასშტაბით, ერთ ოფიცერს წარმოებაში საშუალოდ 57 საქმე აქვს, რაც პრობაციონერებთან ინდივიდუალური მუშაობის ეფექტიანობას ზრდის.
- პრობაციის სისტემაში ინტენსიურად მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეთა არქივის ელექტრო მატარებელზე გადატანა და მონაცემთა ერთიან ელექტრო ბაზასთან სინქრონიზაცია.

- პრობაციის ეროვნული სააგენტო მუდმივად ახორციელებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ტრენინგ პროგრამებს. საანგარიშო პერიოდში 80-მა ოფიცერმა გაიარა სოციალური მუშაკის უნარ-ჩვევების ტრენინგი, 60 ოფიცერი გადამზადდა განრიდებისა და მედიაციის საკითხებში, სამმა თანამშრომელმა სხვადასხვა ორგანიზაციებში გაიარა ტრენინგები ადამიანური რესურსების მართვაში.
- საანგარიშო პერიოდში 30%-ით გაიზარდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ხელფასები.
- საანგარიშო პერიოდში სააგენტომ უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას, რომელსაც საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ესწრებოდნენ პრობაციის ევროპული ორგანიზაციის პრეზიდენტი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრობაციის სამსახურების წარმომადგენლები.
- პრობაციონერთა უფლება-მოვალეობებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2013 წელს დაიბეჭდა და გავრცელდა 30 000 ფლაერი და ბუკლეტი.

**სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიისა და ადგილობრივი საბჭოების მიერ
პირობით ვადამდე გათავისუფლების
ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა**

2013 წლის განმავლობაში, სამინისტროს ადგილობრივი საბჭოებისა და მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებებით პირობით ვადამდე გათავისუფლდა **1 579** მსჯავრდებული.

მათ შორის:

- **34** - არასრულწლოვანი კაცი;
- **188** - სრულწლოვანი ქალი;
- **1 357** - სრულწლოვანი კაცი.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი საბჭოების შექმნის დღიდან, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე - 2012 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, სამინისტროს ადგილობრივი საბჭოებისა და მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებებით პირობით ვადამდე გათავისუფლდა მხოლოდ **841** მსჯავრდებული.

მათ შორის:

- **1** - არასრულწლოვანი ქალი;
- **11** - არასრულწლოვანი კაცი;
- **39** - სრულწლოვანი ქალი;
- **790** - სრულწლოვანი კაცი.

სამინისტროს ადგილობრივი საბჭოებისა და მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებებით, პირობით ვადამდე მხოლოდ 2013 წელს, 2010 წლიდან 2012 წლის სექტემბრის თვის პერიოდთან შედარებით გათავისუფლდა 738-ით (46.7%-ით) მეტი მსჯავრდებული. მითითებული ფაქტი ცხადყოფს, რომ აღნიშნულმა მექანიზმმა სრულყოფილი და ეფექტიანი მუშაობა 2012 წლის ოქტომბრიდან დაიწყო.

1. სამედიცინო დეპარტამენტი

- ✓ პენიტენციური ჯანდაცვის ბიუჯეტი გაიზარდა 70%-ით (7 მლნ-დან 12 მლნ-მდე);
- ✓ საშუალოდ 60%-ით გაიზარდა სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება;
- ✓ სასჯელაღსრულების სისტემისთვის შემუშავდა და ხორციელდება C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა;
- ✓ მართვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოხდა სამედიცინო დეპარტამენტის რეორგანიზაცია;
- ✓ დაინერგა ელექტრონული სამედიცინო ისტორია (EHR);
- ✓ პირველადი ჯანდაცვის მოდელი დაინერგა ყველა დაწესებულებაში;
- ✓ გაიზარდა სამედიცინო სამსახურის და ექიმის ავტონომია;
- ✓ კონკურსის შედეგად გადახალისდა პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალი;
- ✓ მკვეთრად გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე: 2013 წელს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით პენიტენციური სისტემისა და სამოქალაქო საავადმყოფოებში ისარგებლა 5650-მა პაციენტმა;
- ✓ შეიქმნა და დამტკიცდა პენიტენციური ჯანდაცვის მედიკამენტების სტანდარტი;
- ✓ გაიხსნა ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ახალი ცენტრი. შემცირდა ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების წილი;
- ✓ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განახლდა და გადაიარაღდა სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო;
- ✓ შემუშავდა და დაიწყო სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება;
- ✓ გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა სპეციალიზებულ ფსიქიატრიულ მომსახურებაზე;
- ✓ მოხდა ჯანდაცვის და სასჯელაღსრულების სამინისტროებს შორის არსებული კომისიის რეფორმირება, რომელიც ქრონიკული და მძიმე ავადმყოფების გათავისუფლებას ახდენს;
- ✓ შეიქმნა და დაინერგა პაციენტთა კვების ახალი სტანდარტი;
- ✓ ჩატარდა რამდენიმე ეფექტური კამპანია გადამდები დაავადებების პრევენციისთვის;
- ✓ შემუშავდა მიგრანტი პაციენტებისთვის სამედიცინო ინფორმაციის მიწოდების სტანდარტი 9 სხვადასხვა ენაზე;
- ✓ მკვეთრად შემცირდა სისტემაში სიკვდილობის შემთხვევები: სიკვდილობის სტანდარტული მაჩვენებელი (SMR) ყოველ 10 000 მსჯავრდებულზე 55-დან 22-მდე შემცირდა;
- ✓ განხორციელდა პენიტენციური ჯანდაცვის ორი დამოუკიდებელი შეფასება: ერთი - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2013 წლის 1 კვარტალში, ხოლო მეორე ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ეგიდით, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ 2013 წლის დეკემბერში.

1) ბარონესა ვივიენ სტერნი, გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის წევრი, "ციხის საერთაშორისო რეფორმის" დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი.

"მინდა მივულოცო საქართველოს მთავრობას პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმა. განსხვავება აშკარაა".

თბილისი, საქართველო, 2013 წლის 1 ოქტომბერი.



2) თომას ჰამარბერგი, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკანონმდებლო რეფორმების და ადამიანის უფლებებთან დაცვის საკითხებში

"სასჯელაღსრულების სამინისტრომ წარმოადგინა პენიტენციური ჯანდაცვის რეფორმის ამბიციური გეგმა. შედეგად, 2013 წელს ჯანდაცვის წლიური დაფინანსება ერთ სულ მსჯავრდებულზე ოთხჯერ გაიზარდა წინა წელთან შედარებით. 6000-ზე მეტ მსჯავრდებულს დიაგნოსტიკა და მკურნალობა სამოქალაქო კლინიკებში ჩაუტარდა. მოხდა C ჰეპატიტის პროგრამის ინიცირება".

სასჯელაღსრულების სისტემაში პირობების გაუმჯობესებას გარკვეული დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი რესურსები დასჭირდება. აუცილებელია, რომ ეს რესურსები სამინისტროსთვის გამოიყოს, რათა პროცესი, რომელიც როგორც ჩანს სწორად ვითარდება, ბოლომდე იქნას მიყვანილი - წერს ჰამარბერგი.



ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარის შეფასება

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა, ნილს მუჟნიეკსმა სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს შთამბეჭდავი უწოდა და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომპონენტი სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების ყველა ასპექტში იგრძნობა. (ფოტო)

სამედიცინო დეპარტამენტის ანგარიში

1. სამოქალაქო საზოგადოების და ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა და დამტკიცდა პენიტენციური ჯანდაცვის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2013-2014 წლისათვის (ხელმისაწვდომია www.mcla.gov.ge);
2. პენიტენციური ჯანდაცვის ბიუჯეტი გაიზარდა 70%-ით (7 მლნ-დან 12 მლნ-მდე), ხოლო ამნისტიის შემდეგ 1 სულ მსჯავრდებულზე ჯანდაცვის წლიური დანახარჯი 180 აშშ დოლარიდან საშუალოდ 760 აშშ დოლარამდე გაიზარდა;
3. საშუალოდ 60%-ით გაიზარდა სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება (მაგ.: ექიმის ხელფასი 750-დან 1200 ლარამდე, ხოლო ექთნის ხელფასი 350-დან 750 ლარამდე გაიზარდა);
4. სასჯელაღსრულების სისტემისთვის შემუშავდა და ხორციელდება C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამა; პროგრამა წლის განმავლობაში უზრუნველყოფს 12 000 ადამიანის გამოკვლევას, 500 პაციენტის მკურნალობას და 5000 ადამიანის B ჰეპატიტზე ვაქცინაციას;
5. განხორციელდა სამედიცინო დეპარტამენტის რეორგანიზაცია თანამედროვე მოდელების გათვალისწინებით, კონსერვატიული სტრუქტურულიდან ასოციაციური მართვის მოდელისკენ - ოთხი ძირითადი პროცესის ადმინისტრირებისთვის დეპარტამენტის შიგნით შეიქმნა ოთხი განყოფილება: პირველადი ჯანდაცვის, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების, სამედიცინო რეგულირების და ჯანდაცვის ეკონომიკისა და ლოჯისტიკის სამმართველოები; დაინერგა დავალებების და პროექტების მართვის ელექტრონული სისტემა;

6. დაინერგა ელექტრონული სამედიცინო ისტორია (EHR), რომელიც სამედიცინო ინფორმაციის მიმოცვლას, დამუშავებას და ავტომატიზებას ახდენს. დაინერგა სამედიცინო რეფერალის მართვის პროგრამა, რომელიც გეგმიური სამედიცინო მომსახურების პროცესში პატიმართა რეგისტრაციას ახდენს და გამჭვირვალობას და თანასწორობას უზრუნველყოფს;
7. სასჯელაღსრულების სისტემაში პირველადი ჯანდაცვის მოდელი დაინერგა დამატებით 5 დაწესებულებაში და პირველადი ჯანდაცვის სერვისების ამჟამად ხელმისაწვდომია მთელ სისტემაში. ზოგადი პრაქტიკის ექიმების შეფარდება პატიმრებთან არის 1:92-თან, ხოლო ექთნების შეფარდება პატიმრებთან 1:61-თან;
8. დაცულია სამედიცინო სამსახურის და ექიმის ავტონომია - სამედიცინო გადაწყვეტილებებს იღებს სამედიცინო სამსახური; პენიტენციურ ჯანდაცვას ჰყავს კურატორი მინისტრის მოადგილე სასჯელაღსრულების სამინისტროში და ასევე კოორდინატორი მოადგილე ჯანდაცვის სამინისტროში;
9. ჩატარდა კონკურსი პენიტენციური ჯანდაცვის პერსონალის ხელახლა დასაკომპლექტებლად და კონკურსის შედეგად გადახალისდა პენიტენციური სისტემის სამედიცინო პერსონალის 25-30%; პერსონალს ჩატარდა ტრენინგები ინფექციების კონტროლის, კრიზისების მართვის, ჯანდაცვის ადმინისტრირების და სხვა საკითხებში. დაიგეგმა ექთნების გადამზადება ინტენსიური თანამედროვე პროგრამის ფარგლებში, რომელიც თეორიას და სიმულაციური ამოცანების შესრულებას მოიცავს;
10. მკვეთრად გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე: 2013 წელს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით პენიტენციური სისტემისა და სამოქალაქო საავადმყოფოებში ისარგებლა 5650-მა პატიმარმა (წინა წლებში აღნიშნული მაჩვენებელი წელიწადში 400-1280-ს ფარგლებში მერყეობდა);
11. WHO რეკომენდაციების თანახმად შეიქმნა და დამტკიცდა პენიტენციური ჯანდაცვის მედიკამენტების სტანდარტი და გაუმჯობესდა მედიკამენტებით მომარაგება. ფარმაცევტული დანახარჯი ერთ პატიმარზე წელიწადში 23 ლარიდან 128 ლარამდე გაიზარდა; სახელმწიფოს დაფინანსებით პატიმართათვის ექიმის დანიშნულებით ხელმისაწვდომია 500-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი;
12. გაიხსნა ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ახალი ცენტრი, სადაც მიღწეულია ტუბერკულოზის მკურნალობისთვის უმთავრესი პირობები: სხვადასხვა ფორმებით დაავადებულთა სეპარაცია, ეკვივალენტური მკურნალობა გაიდლაინის მიხედვით, წნევათა სხვაობა და ვენტილაციის დამოუკიდებელი რეჟიმები, კვების ახალი რაციონი; ტუბერკულოზის გამოვლენა და კონტროლი შევიდა 2013-2014 წლის სტრატეგიაში ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად; შედეგად 2013 წელს ტუბერკულოზის ახალი, დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა სისტემაში 2011 წელთან შედარებით 800-დან 124-მდე შემცირდა; გაუქმდა კანონმდებლობაში არსებული უთანასწორობა, რომლის მიხედვითაც ბრალდებულებს ტუბერკულოზის ცენტრში მკურნალობის უფლება არ ჰქონდათ;
13. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განახლდა და გადაიარაღდა სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო;
14. მომზადდა და დაიწყო სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება, რომელიც სუიციდისკენ მიდრეკილი პირების იდენტიფიცირებას, მათ გარშემო

ფსიქიატრიული, სოციალური და ფსიქოლოგიური, ასევე სამედიცინო სერვისების მობილიზებას და შეთანხმებულ დახმარებას უზრუნველყოფს;

15. გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა სტაციონარულ ფსიქიატრიულ მომსახურებაზე: წლის განმავლობაში რეფერალმა სპეციალიზებულ ფსიქიატრიულ მომსახურებაზე 177 შემთხვევა შეადგინა (შედარებისთვის: წინა წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 36-ს არ აღემატებოდა);
16. გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა ნარკოლოგიურ სერვისებზე წამალდამოკიდებულ პირთათვის: დეტოქსიფიკაციის კურსის გარდა, მსჯავრდებულთა გადაყვანა მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის სპეციალიზებულ ნარკოლოგიურ ცენტრებშიც ხორციელდება;
17. მოხდა ჯანდაცვის და სასჯელაღსრულების სამინისტროებს შორის არსებული კომისიის რეფორმირება: შეიცვალა დებულება და შემადგენლობა, რომელიც მძიმედ დაავადებულ მსჯავრდებულთა გათავისუფლების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას. შეიცვალა დაავადებათა ჩამონათვალი, რომელიც ავადმყოფთა შეფასებისთვის გამოიყენებოდა - იგი შესაბამისობაში მოყვანილია „ICD-10“ საერთაშორისო დიაგნოსტიკურ კლასიფიკატორებთან. კომისიამ 11 თვეში ქრონიკული ავადმყოფობის და ხანდაზმულობის გამო 104 მსჯავრდებული გაათავისუფლა (შედარებისთვის წინა 2010-2012 წლებში ამ მექანიზმით არცერთი მსჯავრდებული არ გათავისუფლებულა);
18. შეიქმნა და დაინერგა პატიმართა კვების ახალი სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს 12 მიზნობრივ რაციონს, სხვადასხვა ფიზიკური აქტივობის, კატეგორიის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მსჯავრდებულთათვის;
19. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად ჩატარდა რამდენიმე აქტიური კამპანია დაავადებათა პრევენციისთვის: პერსონალის და პატიმრების მასობრივი ვაქცინაცია წითელას წინააღმდეგ, პრევენციული კამპანია ღორის გრიპის წინააღმდეგ, ქალ პატიმართა მასიური სკრინინგი ძუძუს კიბოს პროფილაქტიკისთვის და სხვა;
20. შემუშავდა მიგრანტი პატიმრებისთვის სამედიცინო ინფორმაციის მიწოდების სტანდარტი 9 სხვადასხვა ენაზე;
21. მკვეთრად შემცირდა სისტემაში სიკვდილობის მაჩვენებელი - აბსოლუტურ რიცხვებში წელიწადში 132 სიკვდილის შემთხვევა 25-მდე შემცირდა, ხოლო სიკვდილობის სტანდარტული მაჩვენებელი (SMR) ყოველ 10 000 მსჯავრდებულზე 55-დან 22-მდე შემცირდა;
22. განხორციელდა პენიტენციური ჯანდაცვის ორი დამოუკიდებელი შეფასება: ერთი - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2013 წლის 1 კვარტალში, ხოლო მეორე ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ეგიდით, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ 2013 წლის დეკემბერში;

1. გენერალურ ინსპექციაში განხორციელებული რეფორმები

მოცემულ პერიოდში გენერალურ ინსპექციაში გატარებულმა ძირეულმა რეფორმებმა, რაც გამოიხატა სამსახურის სტრუქტურულ დახვეწაში, მოსამსახურეთა ფუნქცია-მოვალეობების

რაციონალურ გადაწყვეტილებაში, სწორ საკადრო პოლიტიკასა და საკანონმდებლო ნოვაციების შემუშავებაში, თვისობრივად ახლებურად წარმოაჩინა ამ დანაყოფის უმნიშვნელოვანესი როლი და ფუნქცია სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანების ეფექტურად გადაწყვეტაში. შედეგად სახეზეა, წინა წლებთან შედარებით აბსოლუტურად განსხვავებული სტატისტიკური და შინაარსობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ამომწურავად ასახავენ სისტემაში გენერალური ინსპექციის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების მასშტაბურობას და თვალსაჩინო შედეგებს.

გენერალური ინსპექციის საქმიანობის სრულყოფა განაპირობა სწორად შერჩეულმა კონცეპტუალურმა მიდგომამ, რაც შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებად იქნა ჩამოყალიბებული:

- გენერალური ინსპექციის ორგანიზაციის სრულყოფა;
- გენერალური ინსპექციის ფუნქციონირების სრულყოფა;
- პირად შემადგენლობასთან მუშაობის კოორდინაცია;
- შიდა რეგულაციური საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- სტატისტიკურ მონაცემთა ბაზის დანერგვა.

გენერალურ ინსპექციაში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული - შიდა ინსპექტირების სამმართველო, რომელიც დაკომპლექტდა გამოცდილი, მაღალი პროფესიონალიზმის მქონე თანამშრომლებით (დაემატა სამმართველოს უფროსის, ოთხი უფროსი ინსპექტორის და ხუთი ინსპექტორის შტატი). შიდა ინსპექტირების სამმართველო უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დაცვაზე ზედამხედველობას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარმოებაზე კონტროლს, მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების შესწავლასა და მათზე სათანადო რეაგირებას, ასევე სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქციებისა ამოცანების შესრულებას.

გენერალური ინსპექციის შიდა ინსპექტირების სამმართველოს, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგად სამინისტროს სისტემაში გამოვლენილ იქნა მრავალი დარღვევები, გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, განსაკუთრებით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადამიანის უფლებების კუთხით უკანონო ქმედებების გამოვლინებისა და აღმოფხვრის მიზნით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ბევრი ისეთი თანამშრომელი, რომელიც ლახავდა სამინისტროს სახელსა და ავტორიტეტს. პირთა მიმართ საქმეები, რომლებშიც გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ნიშნები, გამოსაძიებლად გადაიგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. უნდა აღინიშნოს, რომ გენერალური ინსპექციის ფუნქციებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადმინისტრაციის მხრიდან აღიკვეთა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევები; შედეგად, დღითიდღე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიმართ უჩნდებათ ნდობა იმისა, რომ ეს

უკანასკნელი მუშაობენ არა მათ დასასჯელად და დასამცირებლად, არამედ მათი უსაფრთხოების დაცვისა და რესოციალიზაციის უზრუნველყოფისთვის.

სამინისტროს გენერალური ინსპექციის სტრუქტურული რეფორმის შედეგად, გაიზარდა გენერალურ ინსპექციაში მომუშავე თანამშრომელთა რაოდენობა (იყო 7 თანამშრომელი, ცვლილების შემდეგ არის 21), რაც ერთმნიშვნელოვნად ხელს უწყობს ზემოხსენებული ღონისძიებების გატარებას. გაიზარდა მტკიცებითი რესურსები, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამასთან, საფინანსო და სამსახურებრივი შემოწმების სამმართველოს ნაცვლად ჩამოყალიბდა საფინანსო-სარევიზიო სამმართველო, რომლის საქმიანობის პრინციპები მიმართულია სამინისტროს სისტემაში კორუფციის აღმოფხვრისკენ, რომელიც ზედამხედველობას უწევს სამინისტროს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების განაწილება-ხარჯვის კანონიერებაზე კონტროლს.

2. სტატისტიკური მონაცემები

2013 წლის ოქტომბრის თვიდან დღემდე სამინისტროს გენერალური ინსპექციაში შემოვიდა 1317 განცხადება-საჩივარი, გატარებული ღონისძიებების შედეგად სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მომზადდა შესაბამისი დასკვნები და ცნობები, რის საფუძველზეც განხორციელდა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა მიმართ შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები, მათ შორის:

1. **სისტემის ორგანოდან დათხოვნა** - 83 შემთხვევა, აქედან 32 თანამშრომელი არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.
2. **საყვედური** - 114 შემთხვევა;
3. **სასტიკი საყვედური** - 17 შემთხვევა;
4. **შენიშვნა** - 5 შემთხვევა;
5. **გაფრთხილება** - 13 შემთხვევა;
6. **თანამდებობრივი სარგოს დაკავება** - 2 შემთხვევა;

ასევე, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოსაძიებლად გადაიგზავნა 169 საქმე.

3. დასახული გეგმები

სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში სამუშაო საათებში მოქმედებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ მიიღონ და გასცენ საჭირო ინფორმაცია. სამომავლოდ იგეგმება ცხელი ხაზის 24 საათიან რეჟიმში ფუნქციონირება, რომელიც გაზრდის სამოქალაქო საზოგადოების სასჯელადსრულების სისტემაზე კონტროლის ეფექტიანობას. მოქალაქეთა ფართო ფენების მხრიდან კომუნიკაციის ამ საშუალების გამოყენება უდაოდ ხელს შეუწყობს სამინისტროში დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არასათანადო შესრულებისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენასა და მათზე ოპერატიულ რეაგირებას.

შიდა ინსპექტირების სამმართველოს მეტად უფრო ეფექტური და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, როგორც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიზანია, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების შედეგად მაქსიმალურად იქნას აღმოფხვრილი სამინისტროში შემავალი დანაყოფების თანამშრომელთა მიერ კორუფციული გარიგებების ფაქტები, ასევე მყისიერად გამოვლენილ იქნას სასჯელადსრულების დაწესებულებებში პატიმართა ცემის, წამების, არაადამიანური მოპყრობისა და მათი უფლებების დარღვევის შემთხვევები. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია დამუშავებული ოპერატიული მასალებით გამყარდეს ის გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა თავი იჩინოს სამინისტროს სტრუქტურების საქმიანობაში. ამასთანავე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გენერალურ ინსპექციას მიენიჭა პირის ადმინისტრაციულად დაკავების უფლება.

შიდა ინსპექტირების სამმართველოსათვის დღეს მოქმედი რეგულაციების დაცვით იგი განახორციელებს იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, რომლებიც საჭირო იქნება მისი საქმიანობიდან გამომდინარე, რადგან ყოველივე აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო უფლებამოსილებებით აღჭურვის გარეშე.

შიდა აუდიტის სამსახური

მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, კერძოდ, საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროში შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური. აღნიშნული სამსახური განახორციელებს შიდა კონტროლს, რომელიც გულისხმობს მენეჯერულ, ფინანსურ და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემას, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა. შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებით მიღწეულ იქნება დაწესებულების მიზნები საბიუჯეტო სახსრების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენებით.

საგამომიებო დეპარტამენტი

განხორციელებული ცვლილებები:

- საგამომიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა 13-დან 20 თანამშრომლამდე გაიზარდა, რაც, ბუნებრივია, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დეპარტამენტის მიერ დაკისრებული ფუნქციების და მიზნების დროულად და ხარისხიანად შესრულებისთვის. ორჯერ გაიზარდა დეპარტამენტის თანამშრომლების თანამდებობრივი სარგო, რაც გარდა იმისა, რომ აღნიშნული სამსახურის პრესტიჟის ზრდასაც ემსახურება, თითოეული თანამშრომლისთვის სტიმულსა და მოტივაციის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორს წარმოადგენს.
- გაუმჯობესდა/გაიზარდა დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ცალსახად დადებითად აისახა სისხლის სამართლის საქმეების დროულად გამოძიებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე. შემუშავდა დეპარტამენტის წარმატებულ

თანამშრომელთა წახალისების ახლებური მეთოდი, რაც გულისხმობს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური წახალისების ფორმებს.

- დეპარტამენტის თანამშრომლებს მიეცათ რეალური შესაძლებლობა, განსხვავებით წინა პერიოდისგან, ნებისმიერ დროს, ყველანაირი დაბრკოლების გარეშე შევიდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მათზე დაკისრებული ფუნქციამოვალეობების შესრულების მიზნით. შეიცვალა გამომძიებლებს და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი სხვადასხვა საგამომძიებლო მოქმედებების კოორდინირებულად ჩატარებასა და სხვა პრაქტიკულ საკითხებში. შედეგად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თითოეულ ფაქტის გამოძიება სრულყოფილად და ობიექტურად ხდება.
- 2012 წლის 1 იანვრიდან ამავე წლის 1 ოქტომბრამდე თუ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებული იყო მხოლოდ 7 პირის მიმართ, 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 66 პირის მიმართ. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში, საგამომძიებლო დეპარტამენტის მიერ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ არა მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს, არამედ დაწესებულების თანამშრომლებსაც, რომელთა მიერ ჩადენილი იქნა სხვადასხვა ხასიათის დანაშაულები.
- 2012 წლის ოქტომბრიდან, საგამომძიებლო დეპარტამენტმა დაიწყო სისტემატიური და მჭიდრო თანამშრომლობა სამინისტროს სხვა სამსახურებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან თანამშრომლობა. სწორედ ამ სამსახურებთან ერთად დანაშაულის წინააღმდეგ გატარებული საერთო ღონისძიებების საფუძველზე, საგამომძიებლო დეპარტამენტი დღითიდღე ყალიბდება, როგორც სულ უფრო მობილიზებული, ორგანიზებული, ოპერატიული და შედეგზე ორიენტირებული სამსახური.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ანგარიში 2012 წლის ოქტომბერი-2014 წლის იანვარი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს სამინისტროს ურთიერთობას საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საერთაშორისო ან/და დონორ ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან.

საერთაშორისო ორგანიზაციები

2012 წლის ოქტომბრის თვიდან დღემდე საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამინისტროს მიერ დაგეგმილი რეფორმებისა და სხვადასხვა ღონისძიებების წარმატებით განხორციელებაში. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დახმარებით, სამინისტრო თანამშრომლობს გაეროსთან, ევროკავშირთან, ევროპის საბჭოსთან და სხვა დონორ ორგანიზაციებთან, რომელთა მხარდაჭერით განხორციელდა და ამჟამადაც ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად დეპარტამენტმა მოამზადა არაერთი ანგარიში გაეროს სახელმწიფოებო და სხვა ორგანოების, ევროპის საბჭოს, ნატოს ფარგლებში ყოველწლიური ეროვნული გეგმის და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის თანახმად წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესრულების შესახებ. (CAT, CPT, CRC, CEDAW, CCPR, ENP etc).

აღნიშნული ორგანიზაციების სავალდებულო რეკომენდაციების გარდა დეპარტამენტმა შეისწავლა INL (საერთაშორისო ანტიწარკობიერების და სამართალდამცავი პროგრამების ბიურო), UNODC (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო), NORLAG (ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში), HUMAN DYNAMICS - ის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულებაზე ანგარიშების ანალიზი განახორციელა. გარდა ამისა, დეპარტამენტი კოორდინირებას უწევდა სამინისტროსა და ზემოხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრებს. დეპარტამენტი რეგულარულად აწვდიდა საერთაშორისო ორგანიზაციებს ინფორმაციას სამინისტროში რეკომენდაციების შესრულებისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ.

საერთაშორისო თანამეგობრობისთვის სასჯელადსრულების სფეროში მდგომარეობაზე მიწოდებულ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ყოფილი კომისარისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ევროკავშირის ექსპერტის თომას ჰამერბერგის მიერ პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმების უაღრესად დადებითი შეფასება, რომელიც ეყრდნობოდა მის მიუკერძოებელ და ობიექტურ დაკვირვებას. ასევე აღსანიშნავია, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარის ნილს მუჟნიესკის მიერ 2014 წლის იანვარში გაკეთებული განცხადება, რომ იგი გაცხადებულია პენიტენციური სისტემაში მიღწეული პროგრესით.

ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭა ევროკავშირთან ურთიერთობას. სამინისტროს სახელით დეპარტამენტი აქტიურადაა ჩართული ევროკავშირის ხელშეწყობით შემუშავებულ ადამიანის უფლებათა სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში, რომელსაც უახლოეს პერიოდში საქართველოს პარლამენტი დაამტკიცებს. სტრატეგიის მოკლევადიანი (2 წელი) და გრძელვადიანი (7 წელი) სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ფარგლებში მიმდინარეობს სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა თუ საქვეუწყებო დაწესებულების შესაბამისი კოორდინირება.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი დღემდე აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სამინისტროს თანამედროვე სტრუქტურის დახვეწაში, სამინისტროს სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შემუშავებაში. ამჟამად, მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის განსახილველად.

ამასთანავე, სამინისტრო ჩართულია ევროკავშირის მიმდინარე საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული 7 არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტების განხორციელებაში. აღნიშნული პროექტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავებისათვის სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში ევროკავშირის მისიასთან.

სამინისტრო ჩართულია ევროსაბჭოსთან საქართველოს 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმის სამინისტროს ქვემდებარე საკითხების -იმპლემენტაციის პროცესში.

დიპლომატიური წარმომადგენლობები

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს ყოველდღიური საქმიანი ურთიერთობა საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უშუალო შუამავლობით საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლები შეუფერხებლად ხვდებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე მსჯავრდებულებს.

ასევე მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკებები სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და სხვა ქვეყნების სასჯელაღსრულების უწყებებთან შესაძლო თანამშრომლობის ფორმების თაობაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები

სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებთან. 2013 წელს დაიყო მუშაობა საზოგადოებრივი მონიტორინგის ალტერნატიულ მექანიზმზე. მიღწეულია პირველადი შეთანხმება მონიტორინგის ფორმატზე. აღნიშნული მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭო სამინისტროს რეფორმირებასთან დაკავშირებით ასევე შეიმუშავებს რეკომანდაციებს მინისტრისთვის.

გარდა ზემოაღნიშნული ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებისა, დეპარტამენტი მუდმივ რეჟიმში თანამშრომლობს ათეულობით არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომლებიც ახორციელებენ ან სურთ განახორციელონ სხვადასხვა სახის პროექტები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში. მათი საქმიანობის კოორდინაციისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით ხელი მოეწერა არაერთ თანამშრომლობის მემორანდუმს.

სხვადასხვა

დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტთან საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესში. შესწავლილი იქნა ევროპული ქვეყნების გამოცდილება და კონსულტაციები ჩატარდა სასჯელაღსრულების სფეროს ექსპერტებთან.

2013 წლის 30 ოქტომბერს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით, დეპარტამენტმა უზრუნველყო სადამკვირვებლო მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა ამ პროცესში.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა ცვლილებები შეიტანა წესდებაში, რომელსაც საფუძვლად დაედო ევროპის საბჭოს პროექტის - “დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წწ. სასამართლო რეფორმის, ადამიანის და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა”, ფარგლებში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული „სასწავლო ცენტრის სტრუქტურა და ფუნქციური ანალიზი“, ამავე რეკომენდაციების საფუძველზე ცენტრმა სრულ განაკვეთზე დაასაქმა 3 ტრენერი.

2013 წლის განმავლობაში შემუშავდა, განახლდა და განხორციელდა არაერთი სასწავლო პროგრამა და პროექტი, მათ შორის:

- ევროპის საბჭოს ექსპერტის ჟერარ დე იონგის მონაწილეობით, რომელიც ევროპული ციხის წესების ერთ-ერთ თანაავტორს წარმოადგენს, შემუშავდა სასჯელაღსრულების სისტემის რეჟიმის სამსახურის თანამშრომელთა მოსამზადებელი 6-თვიანი სასწავლო პროგრამა.
- 2013 წლის მარტიდან ამერიკის საელჩოს მხრდაჭერით ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა „თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა“.
- სასწავლო ცენტრის არსებობის მანძილზე პირველად მომზადდა საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთა სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა.
- სპეციალური სასწავლო პროგრამის ფარგლებში გადამზადდა სასჯელაღსრულების სისტემის როგორც მოქმედი სოციალური მუშაკები, ასევე კანდიდატები.
- პირველად ცენტრის არსებობის მანძილზე შემუშავდა სასწავლო პროგრამა „შიმშილობის მართვა სასჯელაღსრულების სისტემაში“, რომლის მიხედვით დღემდე ხორციელდება სისტემის თანამშრომელთა გადამზადება.
- არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მოპყრობის თავისებურებებთან დაკავშირებით, მომზადდა სასწავლო პროგრამა, რომელიც ჩაუტარდა საგამომიებო დეპარტამენტის თანამშრომლებს.

მენტორინგის სისტემის დანერგვა

2013 წლის ივლისიდან საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდისა (IRZ) და „ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისია საქართველოში“ (NORLAG) მხარდაჭერით, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მენტორინგის ინსტიტუტის დანერგვის მიზნით, კონცეფცია, სამოქმედო გეგმა და მენტორების სასწავლო პროგრამა შემუშავდა. ანალოგიური პროექტი 2013 წლის სექტემბრიდან პრობაციის სისტემაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის „პრობაციის მენტორინგის სისტემის ჩამოყალიბების პროექტის“ ხელშეწყობით განხორციელდა.

სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურის განახლება/განვითარება

სასწავლო პროცესის უფრო ეფექტიანად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, სრულად განახლდა სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ადეკვატურ და კომფორტულ გარემოში ჩატარებას. სასწავლო პროცესის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ღია და დახურული სპორტული დარბაზები, რომლებიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის სპორტული ინვენტარით. პრაქტიკული სავარჯიშოებისათვის ცენტრში მოეწყო იმიტირებული საკნები, განახლდა ტექნიკური საშუალებები. გაუმჯობესდა რეგიონიდან ჩამოსული მონაწილეების საცხოვრებლად გამოყოფილი ოთახები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

2013 წელს სასწავლო ცენტრმა ხელი მოაწერა რამდენიმე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. სასწავლო ცენტრის ისტორიაში პირველად გაფორმდა მემორანდუმი აკადემიურ ინსტიტუტთან, რასაც შედეგად უკვე მოჰყვა რამდენიმე ერთობლივი ღონისძიება. ასევე, ურთიერთთანამშრომლობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლონეთის სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი, რომლის ფარგლებში დაგეგმილი თანამშრომლობა სასწავლო ცენტრის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გამოცემები/პუბლიკაციები

2013 წლის განმავლობაში საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და სასწავლო ცენტრის რესურსებით მომზადდა არაერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია და გამოცემა, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს, მათ შორის: ტესტების კრებული სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის და მენტორინგის სახელმძღვანელო; ტრენერთა სახელმძღვანელო.

სასწავლო ფილმები

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მომზადდა სასწავლო ფილმები სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის. ფილმის პირველ ნაწილში ასახავს ქმედებებს, რომელიც კანონდარღვევით მიმდინარეობს, ხოლო მეორე ნაწილში ყოველი დარღვევა განმარტებულია, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს ტრენინგის მონაწილეთა მიერ შესაძლო პრობლემების და დარღვევების აღქმასა და გააზრებას.

- მომზადდა სასწავლო ფილმი პენიტენციური სისტემის თანამშრომელთათვის ბრალდებულთა დაწესებულებაში მიღება/განთავსების პროცედურებზე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში (Hulla & Co. Human Dynamics KG)“ მხარდაჭერით.
- მომზადდა 2 საწავლო ფილმი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის შემდეგ თემებზე: 1. შიმშილობის მართვა და ფსიქიატრიული საკითხები სასჯელაღსრულების სისტემაში; 2. წამების და არაადამიანური მიპყრობის აკრძალვა სასჯელაღსრულების სისტემაში, ევროპის საბჭოს პროგრამის „EU/CoE ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა ციხეებსა და სხვა დახურულ ინსტიტუტებში“ მხარდაჭერით.

ფილმები მოამზადა რეჟისორ თომა ჩაგელიშვილის სტუდიამ (T-studio).

სასწავლო ცენტრის ტრენერთა გადამზადება

სასწავლო ცენტრის ადგილობრივ და მოწვეულ ტრენერთა ტრენერობის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ცენტრმა უზრუნველყო არაერთი ტრენერთა ტრენინგის ორგანიზება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელს სწავლების ხარისხის სრულყოფას.

სასჯელალსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის, გარდა ზემოთქმული ტრენინგებისა, ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტთან თანამშრომლობის ფარგლებში - „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ (Human Dynamics) - ტრენინგი თემაზე: „სოციალური მუშაობა სასჯელალსრულების სისტემაში“. ექვსდღიანი პროგრამის მიხედვით გადამზადებულია სისტემის 52 სოციალური მუშაკი.
- მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი „ადამიანის უფლებათა მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში“.
- სასჯელალსრულების სისტემის 130-მდე თანამშრომელი გადამზადდა 14-დღიანი სასწავლო პროგრამით - „პირველდაწყებითი საბაზისო სასწავლო პროგრამა“. სისტემის თანამშრომლები გაეცნენ პატიმრებთან მოპყრობის თეორიულ (სამართლებრივ) და პრაქტიკულ საკითხებს, გაიარეს ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება და ფსიქო-სოციალური პროგრამები.
- სასჯელალსრულების სისტემის სოციალური მუშაკებისათვის „საქართველოში აივ პრევენციის პროექტთან“ (GHPP) თანამშრომლობით ჩატარდა ერთ დღიანი ტრენინგი-სემინარი თემაზე „აივ პრევენციისა და ნარკომანიის საკითხები და გადამისამართება შესაბამის ჯანდაცვის სერვისებზე“.
- განხორციელდა ტრენინგი თემაზე **„მსჯავრდებულთა მომზადება გათავისუფლებისათვის“**. ტრენინგის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მონაწილეთათვის იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც მათ დაეხმარება პატიმრებთან მუშაობის წარმართვაში მათი გათავისუფლებისათვის მოსამზადებლად. სწავლება განხორციელდა წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) ექსპერტთა მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით.
- პირველად საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისიის საქართველოში (NORLAG) და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში სასწავლო ცენტრის მიერ მომზადდა ტრენინგ პროგრამა და განხორციელდა ტრენინგები თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ახლადშერჩეული თანამშრომლებისათვის.
- პრობაციის ოფიცრებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგში, მათ შორის აღსანიშნავია ტრენინგები „პრობაციის ოფიცრის როლი სოციალურ მუშაობაში“, „რისკისა და საჭიროებების შეფასება და ინდივიდუალური გეგმის შედგენის თავისებურებები“.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის განხორციელდა ტრენინგები: „გამლიერებული სწავლების კურსი სასამართლო ადვოკატების უნარ-ჩვევების განვითარებაში“, „ექსპერტი მოწმის შერჩევა, მომზადება და დაკითხვის უნარ-ჩვევები“, „სასამართლო ექსპერტიზის მნიშვნელობა დაცვის მხარის მიერ სისხლისსამართლის საქმის გამოძიებისას“.

სასწავლო / სამუშაო ვიზიტები

სასწავლო ცენტრის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით 2013 წელს განხორციელდა ცენტრის წარმომადგენელთა და ტრენერთა ვიზიტები სხვადასხვა წარმატებულ ქვეყნებში.

- კალიშეს სასწავლო ცენტრში (პოლონეთი) ჩატარებულ ცეცხლსასროლი იარაღის შეჯიბრზე, საქართველოს წარმომადგენელმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრიდან - მიხეილ ყუფარაძემ 19 ქვეყნის 56 წარმომადგენელს შორის II ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა. მიხეილ ყუფარაძე საქართველოს სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და ტაქტიკური მომზადების ტრენინგებს უძღვება.
- 2013 წლის 4-6 ივნისს სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ევროპული ქსელის (EPTA) მე-6 საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ქ. პორტლიში ირლანდიის პენიტენციურ ტრენინგ-აკადემიაში შედგა.
- სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრს ვიზიტით ეწვია პოლონეთის (კალიშე) სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელობა, ვიზიტის მიზანი იყო ქართული პრაქტიკის გაცნობა და შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება.
- სასჯელაღსრულების სისტემის მენტორინგის პროგრამის ფარგლებში, სასწავლო ცენტრს ეწვია გერმანიის ნიდერსაქსენის მხარის სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები. ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს სასჯელაღსრულების მენტორინგის კონცეფციის, სამოქმედო გეგმისა და მენტორების სასწავლო პროგრამის სრულყოფის პროცესში.

სამომავლო გეგმები

ცენტრმა შეიმუშავა 2014 წლის სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვით 2014 წელს სამინისტროს სისტემაში შემავალი 4000-მდე თანამშრომელი დაახლოებით 70 ტრენინგ-კურსს გაივლის. ასევე, გამოიცემა არაერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია და სახელმძღვანელო, მათ შორის: მენტორინგის სახელმძღვანელო და ლექციების კრებული სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის.

ადამიანური რესურსები

აღსანიშნავია ადამიანური რესურსების კუთხით სასჯელაღსრულების სისტემაში გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა უმრავლესობამ გაიარა ატესტაცია. სასჯელაღსრულების სისტემაში, თანამდებობათა დაკავების მიზნით, თითოეულ უწყებაში გამოცხადდა კონკურსი. ყველა თანამშრომელი შეირჩა მათი კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების ობიექტურად შეფასების საფუძველზე.